№ 61
შაბათი, 16 მარტი 1896

1877—1896

# ივერია

№ 61
შაბათი, 16 მარტი 1896

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ.—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, № 21
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დროებითი კომიტეტი

რომელიც წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ შესდგა, უმორჩილესად სთხოვს მსურველთ შემოწირულება კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახელზედ გაჰგზავნონ ხოლმე. (ლორის მელიქოვის ქუჩა, საკუთარი სახლი).

შემოწირულებას მიიღებენ აგრეთვე კომიტეტის შემდეგი წევრები: კნ. მ. ა. შარვაშიძისა (ახალი ბებუთოვის ქუჩა, საკუთარი სახლი). კნ. მ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი), კნ. მ. ვ. ორბელიანისა (ნიკოლოზის ქ., საკუთარი სახლი), კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისა (განოვის ქ., გურგენოვის სახლი, კნ. ე. მ. სუმბათაშვილისა (ერევნის მოედანი, საკუთარი სახლი), ა. ფ. მილიუტინისა, უგანათ. თავ. ვ. ა. გრუზინსკი (ერევნის მოედანი, სუმბათაშვილის სახლი), თავ. გ. ი. ორბელიანი (მიხეილის ქუჩა), თავ. დ. ა. გურამიშვილი (კონსულის ქ.) და თავ. ვ. ს. მიქელაძე (განოვის ქ., 7).
შემომწირველთა გვარი და სახელები გაზეთის საშუალებით იქმნება გამოცხადებული. (12—8).

### ზამთრისაგან დაზარალებულთა დახმარება

დიდის ლოდინისა და დაუსრულებელ მიწერ-მოწერის შემდეგ, როგორც იქნა დაარსდა დაზარალებულთა დამხმარებელი კომიტეტები. ამგვარი კომიტეტები დააარსეს ქუთაისს, ტფილისს და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სამაზრო ქალაქებში. ამ კომიტეტებმა მოღვაწეობის საგნად დაისახეს მხოლოდ შეწირულებათა შეგროვება. ჩვენის ფიქრით, მარტო ამ საგნის დასახვა—მოღვაწეობის შეზღუდვაა. შეგროვების საქმესთან ერთად, უნდა ეზრუნათ აგრეთვე შემოწირულებათა განაწილების საქმის ორგანიზაციისთვის. ამისთვის კარგ მაგალითს წარმოგვიდგენენ რუსეთის შიმშილობის დროს არსებულნი ცენტრალი და ადგილობრივი კომიტეტები. ადგილობრივი კომიტეტები ადმინისტრაციის დახმარებით ატყობინებდენ ცენტრალურს, თუ სად, რომელ სოფელში ან ვინ უფრო გაჭირვებული, ადგენდენ სიებს, იღებდენ შემოწირულებას და ანაწილებდენ დამშეულთა შორის. ადგილობრივ კომიტეტებში იღებდენ მონაწილეობას, როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციის, ერობის, აგრეთვე ინტელიგენციის წარმომადგენელნი. კომიტეტებს თავისი მოღვაწეობა მაშინ არ შეიზღუდებოდა მხოლოდ შემოწირულებათა შეგროვებით; ასე რომ ყოფილიყო, ისეთ დიდ დახმარებას ვერც ამოუჩენდენ ხალხს, როგორიც აღმოუჩინეს. ჩვენ გვგონია, რომ ჩვენშიაც უნდა ვიფიქროთ დახმარების საქმის სავსებით მოწყობისათვის, გაფართოვებისათვის. ამ შემთხვევაში უნდა მიექცეს ყურადღება სოფლის ინტელიგენციას: მღვდლებს, მასწავლებელთ და სხვათ, რომელნიც უთუოთ ენერგიულს დახმარებას აღმოუჩენენ ადმინისტრაციას.

თუმცა ქართველი საზოგადოება კარგა ხანია შეუდგა აქა-იქ შემოწირულებათა შეგროვებას, მაგრამ სამწუხაროდ აქამდის თითქმის არა შეგროვილა-რა. ორი-ათას მანათამდე ფული, რომელიც დღემდის მოგროვდა, მხოლოდ წვეთია და იმ უბედურებასთან შედარებით, რომლისთვისაც გროვდება, სახსენებლადაც არა ღირს. უნდა აღვნიშნოთ მწუხარებით, რომ ჯერ-ჯერობით ქართველ ერის მდიდარი, შეძლებული ნაწილი სრულიად არ იღებს მონაწილეობას ამ საქმეში, სრულიად არ გრძნობს თავის თავს მოვალეთ ქვეყნის წინაშე—დაეხმაროს უკიდურესს გაჭირვებაში მყოფ ხალხს, დაეხმაროს მათ, ვისის ოფლითა და განუწყვეტელის შრომით ამაღლებულია მატერიალურადაც და სხვაფრივაც!

მარტო ქართველი ერი ვერ უშველის, ვერ გაუძლევბა ამ დიდ საქმეს, [illegible] ამიტომ საჭიროა მთავრობისთვის წარდგენილ შუამდგომლობათა საქმესაც ჩქარი მსვლელობა მიეცეს. საჭიროა ქუთაისის კომიტეტმა ბეჯითად ადევნოს თვალ-ყური ამ შუამდგომლობათა ბედ-იღბალს და საზოგადოთ მეტი სიცოცხლე, მეტი ენერგია გამოიჩინოს!

ბევრს რუსეთის საზოგადოების იმედი ჰქონდა და დღესაც აქვს, მაგრამ რუსეთის საზოგადოება, თავისის პრესის წყალობით, რომელიც კავკასიის შესახებ მხოლოდ იმას ლაპარაკობს, რაც მისის პოლიტიკურის მცნებისათვის არის საჭირო, ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევს და შემოწირულებას დღეს აბაშელთათვის აგროვებს!..

ლალი.

---

## ახალი ამბავი

*** ტფ. სათავად-აზნ. ბანკის საზოგადო კრება 20 აპრილისათვის დაინიშნა.

*** გუშინ, 15 მარტს, როდესაც ბათუმიდგან მომავალი საქონლის მატარებელი № 38, მოლითის სადგურს მოუახლოვდა, ზედ სადგურზედ, ისრის მახლობლად კლდიდგან მომზღვრეული ქვის ზვავი ჩამოწვა უეცრად და მთელი მატარებელი ქვეშ მოიტანა. ჯერ-ჯერობით არ იციან რამდენი კაცი იმსხვერპლა.

*** გუშინ-წინდელს „ქართველ ქალთა ამხანაგობის“ საზოგადოთ კრებაზე ფირმის თავად არჩეულ იქმნა ეკ. გაბაშვილისა, ხოლო ხაზინადრად ნ. გიკიმყრელისა.

წევრობის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ამხანაგობის თავმჯდომარეს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრთ: ეკ. ფურცელაძისას, ქ-ნს ცისკარაშვილისას, კნ. ბ. ავალიშვილისას, ქ-ნს ო. ბეჟანიშვილს, ქ-ნს ს. ჩხარტიშვილისას, ქ-ნს ბ. ბაგინოვისას, ქ-ნს ნ. გვარამაძეს, ბ-ნს ექ. კვაჭაძეს, ბ-ნს ივ. მაჭავარიანს (ჟურ. „მოამბის“ რედაქციაში), ბ-ნს ივ. ახალშენიშვილს (გაზ. „ივერიის“ რედაქციაში), ბ-ნს კ. ვეზირიშვილს და წევრთ ქ-ნს დ. დეკანოზიშვილსა და ქ-ნს ელ. ანტონოვსკაიას (ქარ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. სამკითხველო-წიგნთ-საცავში, ბანკის შენობაში) და აგრეთვე ფირმის თავსა და ხაზინადარს.

*** მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულს ფაკულტეტზედ 11 მარტს დაწყებულა სახელმწიფო ეგზამენები. იურიდიული კომისიის თავმჯდომარეა პროფ. ალექსეენკო. ქართველ სტუდენტთაგან გამოცდილი იქმნებიან: გ. გძელიშვილი, კ. თუმანიშვილი, ნ. გეგელაშვილი, ვ. დემიდოვი, ე. კრინიშვილი და ს. ბადრიძე.

წელს საექიმო ნაწილზედ ორ ქართველს დაუმთავრებიათ სწავლა: მ. კოჩინაშვილს (ექიმი) და ა. შიხი-[illegible]

*** ჩვენ მოგვივიდა ოდესსის [illegible] გაზდოობისაგან გამოცემული ბარელიეფები: შოთა რუსთაველისა და თ. მამია გურიელისა. მოგვივიდა აგრეთვე დიდი ფოტოგრაფიული სუ-

---

# ფელეტონი

### ცხოვრება და ხელოვნება.

### VIII

„მარგარიტა გოტიე“, დრ. 5 მოქმ. ალ. დიუმა-შვილისა*).

(ერთი თავი ეტიუდიდამ დიუმას შესახებ).

ამ დღეებში ტფილისში წარმოადგინეს დიუმას დრამა „მარგარიტა გოტიე“. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დამწერი ამ მშვენიერისა და დიდ-აზროვანის დრამისა გარდაიცვალა. საფრანგეთმა დაჰკარგა მასში ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ლიტერატურისა, ერთი დიდებული წარმომადგენელთაგანი ნაპოლეონ მე-III-ის მეფობის დროში აღზრდილის ლიტერატურისა.

დიუმას ნაწარმოებთა დაწვრილებით გარჩევა დიდი საინტერესო უნდა იყვეს ყველასათვის, ვისთვისაც საინტერესოა ეხლანდელი ლიტერატურისა და აზროვნების მიმართულების შეგნება. ამ ვრცელს საგანს ჯერჯერობით დავეხსნათ და განვიხილოთ ზემოხსენებული დრამა.

მარგარიტა გოტიე ერთი გაუბედურებული ქალია. უძლეველ გარემოებას, შემთხვევას, თუ თავ დავიწყებულს გატაცებას გრძნობით ეს არსება იქნამდის მიუყვანია, რომ თავისი სხეულით ვაჭრობს. ღვთისაგან მინიჭებული სიმშვენიერე, რომელიც მხოლოდ სიამოვნებასა და ბედნიერებას უნდა ჰფენდეს გარშემო, ცხოვრების იარაღად გაუხდია და დასდგომია იმ გზას, რომელზედაც მიმავალი უხვად სთესს ყოველ მხრივ ტანჯვასა და ვაებას. მაგრამ შემთხვევით დაცემული არსება სულით მაღალი დარჩენილა, მასში ადამიანობა არა თუ ვერ მოუსპია გარეგან ბინძურს ცხოვრებას, წინააღმდეგ, თითქო კიდეც განუმტკიცებია. და აი, პირველსავე შემთხვევაში გამოიჩენს გარეგანი უზნეობის ქვეშ დამალულს ღვთიურს სულს. მაშინვე მიაგნებს გზას ჭეშმარიტებისას, როგორც-კი შეხვდება გულითა და სულით სპეტაკს არსებას, რომელსაც იგი უყვარს ნამდვილი, ადამიანურის სიყვარულით. იგი გატაცებულად და თავ-განწირულად დაემორჩილება წმიდა გრძნობას, მიატოვებს ყოველივე ბიწიერს...... მაგრამ რა, უწყალო, ულმობელი და ბოროტი ბედი მოსვენებას არ აძლევს ამ, რაღაც უცნაური განგებისაგან განწირულს არსებას და ცოტა ხნით რომ მოაჩვენებს ბედნიერებას, მერე უეცრად წარსტაცებს მას. მარგარიტას ცხოვრება მითოლოგიური ტანტალის წამებას მოგაგონებთ. ტანტალის საშინელი ტანჯვა იმაში მდგომარეობდა, რომ სწყუროდა, თვით მუხლამდე წყალში იდგა და როგორც-კი დაიხრებოდა წყალის დასალევად, წყალი დაშრებოდა; ტანტალს შიოდა, მისი თავის ზემოდ ათასნაირი ხილი იყო ჩამოკიდებული, მაგრამ გაიწვდიდა თუ არა ხელს, ხილი სულ ზევით და ზევით აიწეოდა. მარგარიტას გაწამებული სიცოცხლე სიზიფის ტანჯვასა ჰგავდა. სიზიფი ღმერთებმა დასაჯეს. ეს სასჯელი-კი გამოიხატებოდა იმაში, რომ ქვა უნდა აეგორებია მთის წვერზედ, მაგრამ მიაგორებდა თუ არა მთის წვერამდის, ქვა ისევ ძირს დაგორდებოდა. ეს ყოველიფერი მითიაა, ზღაპარი, არაკი, მაგრამ შიგ იხატება ღრმა ცოდნა კაცის ტანჯულის ცხოვრების, ეს პოეტური სიმბოლოა, რომელიც სურათებით გამოჰხატავს უბედურის კაცის ცხოვრების შინაარს. განა ყოველთვის ეგრე არ ემართება ბედისაგან არ შეწყნარებულს, ბედისაგან დასჯილს (იმას ნუ შევეხებით სამართლიანია ეს დასჯა, თუ უსამართლო) ადამიანს. წვალობს, შრომობს და ბოლოს, რომა ჰგონია ეს არის მივაღწიე ჩემს მიზანსაო, ამ დროს ფეხი წაუცურდება და დაეცემა, მიზანიც სადღაც გადაეკარგება და ისევ ხელ-ახლად უნდა დაიწყოს ტანჯვა-წამება, სანამ გაჯახირებულს სულს არ განუტევებს.

ასეთი გახლდათ მარგარიტას ცხოვრებაც. აუსრულდა საწადელი და რიგიანად ცხოვრება დაიწყო, ამ დროს გამოტყვრება მამა მისი საყვარელისა,—არმანისა, ეს კაცი ჯერ მკვახე, მერმე-კი დინჯი და „გონივრული“ ლაპარაკით, რომელიც ხანდისხან ვედრებადაც გარდაექცევა ხოლმე, დააჯერებს მარგარიტას, რომ თავისი სიცოცხლე მსხვერპლად უნდა შესწიროს არმანის ბედნიერებას... მაგრამ არმანი რა შუაშია წმიდა, ღვთიური გძნობა და ამ გრძნობაზედ აღგებული ცხოვრება უნდა შესწიროს დახავსებულს გამოფიტულს, უგრძნობელს, ულმობელს და უაზრო მოთხოვნილებას ეგრედ წოდებულის „საზოგადოებისას“. მარგარიტა სთანხმდება ამაზედ და ხდება მსხვერპლად გულქვაობისა. იგი მიატოვებს არმანს და დაიწყებს უწინდელს ურიგო ცხოვრებას. არმანს-კი არ ატყობინებს ნამდვილს მიზეზს ასეთის მოქმედებისას. ბოლოს მრავალ-ტანჯული ადამიანი სულიერის ტანჯვითა და ამგვარი ცხოვრებით დაუძლურებული და დასუსტებული სულსაც დალევს. მხოლოდ რამდენიმე წუთით სიკვდილის წინ ნახავს არმანს, რომელსაც უკვე გაუგია მისი დიდ-სულოვანი მოქმედება და ბოდიშით მოდის მასთან, მაგრამ გვიანღა არის.

ეს დიდებული დრამა ერთის მხრით თაყვანსა სცემს და აღმერთებს ადამიანის სულის სიმშვენიერეს. იგი გვიმტკიცებს, რომ გარეგან პირობებს შეუძლია.... სიმშვენიერე ერთის წუთით მიაძინოს, შეუძლიან ცოტას ხნით ჩვენთვის უჩინარი გახადოს, მაგრამ მთლად ერთიანად-კი მისი მოსპობა არ შეუძლია. მეორეს მხრით, კრიტიკაა მთელი ეხლანდელის გათახსირებულის და უგრძნობელის საზოგადოების ცხოვრებისა. ბრალმდებელი ოქმია იმ საზოგადოების შესახებ, რომელსაც ყოველივე წმიდა და დიდებული გრძნობა არშინით გაუზომავს და გირვანქით აუწონია, რომელიც ჰყიდის ფულად ყოველიფერს, რაც კი კაცის შემამკობელ სიტურფეს შეადგენს. ეს მხარე დრამისა ბევრად უფრო საინტერესოდა ხდის მას და ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევს. იშვიათად თუ ვისმე ამოეთქვას ასეთი წრფელი ზიზღი პირუტყვულის ცხოვრებით გატაცებულის საზოგადოების მიმართ; იშვიათად, თუ რომელიმე ნაწარმოებს დაეხატოს ასე სავსებით, თუ რა ბოროტ-მომქმედია ეს საზოგადოება. იშვიათად ნახავთ ნაწარმოებს, რომელსაც ასეთის ხელოვნებით აღეძრას მკითხველში, თუ მაყურებელში ორი ერთმანეთის წინააღმდეგი გრძნობა. დრამა იწვევს, ერთის მხრით ღრმა საყვედურს, ზიზღს მტარვალი საზოგადოების მიმართ, რომლის წევრიც თვითონაც არის, რომლის მძიმე დანაშაულში თვით მა-

*) Al. Dumas fils, Théatre complet t. I, P. 1893.

რათი თ. მ. გურიელისა. ბარელიეფები ძალიან ხელოვნურად არის გაკეთებული და სურათიც მეტად კარგია. ფასი მცირე აქვთ. ბარელიეფი (თ. გურიელის) ღირს 2 მან. და 1 მ. (შოთა რუსთაველის), სურათი-კი 1 მანეთი.

*** მორიგ საქმეთა შორის, რომელნიც დანიშნულია გასარჩევად სახელმწიფო საბჭოში, მოხსენებულია საჭიროება იმ ცვლილებისა, რომელიც უნდა მოხდეს თერგის მხრის სამართლის დაწესებულებათა მოხელეობისათვის. გარდა ამისა საბჭოში გასინჯულ იქმნება საქმე შესახებ სოფელს ალექსანდროვსკში (ქუთაისის გუბერნია, სოხუმის მხარე) არსებულ ერთ კლასიან სასწავლებლისა, რომელიც განზრახულია გადაკეთდეს ორ კლასიან ნორმალურ სასწავლებლად. (ნ. ვ.)

*** 7 მარტს სახელმწიფო საბჭოს საბოლოოდ გაუსინჯავს პროექტი მიწათ-მოქმედების სამინისტროსი, რომლის ძალითაც უნდა სესხი ეძლეოდეთ განსაკარგებლად სოფლის მეურნეობისა (მელიორაციის კრედიტი). ამ პროექტიდამ სახელმწიფოს გამოუკლია სესხი: 1) სათიბების და საძოვრების განსაკარგებლად, 2) სამეურნეო შენობის ასაგებად და 3) პირუტყვისა და საქონლის მოშენების განსაკარგებლად და აგრეთვე შესაძენად. ამ სახით ამგვარ კრედიტიდამ შესაძლოა სესხი გაიცეს მხოლოდ სარწყავების გასაყვანად, გუბიან ადგილების ამოსაშრობლად ვენახების და ხილის ბაღებისა გასაშენად. ამა კრედიტის მოქმედება ამ სამ-ოთხ თთვეში დაიწყებაო. (ნ. ვ.)

*** რუსეთში აპირობენ შეადგინონ „საზოგადოება აღმოსავლეთის გამოცემისა.“ საგანი ამ საზოგადოებისა იქმნება სწავლა აღმოსავლეთის ენებისა და გადმოთარგმნა რუსულად აღმოსავლეთის გამოჩენილ თხზულებათა, გაცნობა აღმოსავლეთის ლიტერატურისა, ეთნოგრაფიისა, ისტორიისა და ჩვეულება-რჯულიერებისა და სხვანი. გარდა ამისა საგნად ექმნება გააცნოს აღმოსავლეთის ერნი რუსეთს და ამისათვის იმათს ენებზე გადაჰთარგმნენ რუსულ თხზულებათა. (ნ. ვ.)

*** ამას წინად მინდობილი ჰქონდა ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრის ბ-ნ რიხტერის თავმჯდომარეობით შემდგარს კამისიას—შეედგინა პროექტი, რათა წესსა და რიგში ჩავარდნილიყო არსებული სისტემა ხარჯის აკრეფვისა. შეუმზადებიათ იგი პროექტი და ვიდრე წარუდგენენ სახელმწიფო საბჭოს, საჭიროდ დანახულია ფინანსთა მინისტრის განსაკუთრებულ საბჭოში ხელ-ახლად გაირჩეს. ახალი ამ პროექტისა ის არის, რომ აკრეფვა ხარჯისა მიენდოს არა ცალკე მოხელეს, არამედ მთელს კრებულს. დღეს აქამომდე ხარჯის აკრეფვის საქმეს აწარმოებს მარტო პოლიცია, პროექტი საჭიროდ ჰხედავს ეგე საქმე დაევალოს კრებულს, რომელიც შესდგება მაზრის პოლიციის წარმომადგენლისაგან, პოდატნოი ინსპექტორისაგან და, სადა „ზემსკი ნაჩალნიკობა“ ჯერ შემოღებული არ არის, მომრიგებელ შუა-კაცისაგან (Мировой посредникъ). (ნ.)

*** როგორც პეტერბურგიდამ გვატყობინებენ, სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად იმის განხილვას შესდგომიან, რომ კავკასიაში მეურნეობა განვითარდესო, სწერს გაზეთი «ნოვოე ობოზ.“-ი.

იმავე გაზეთს ატყობინებენ კავკასიის სტავროპოლიდამ, რომ ადგილობრივი თავად-აზნაურობა ამ ჟამად სტავროპოლში საერობო დაწესებულებათა შემოღების მზრუნველობას შეუდგაო.

*** განჯიდამ ატყობინებენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს, რომ იქ ხელის-მოწერა გაუმართავთ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

*** ს. შემოქმედი, (ოზურგეთის მაზრა): ჩვენში ინფლუენცაა გავრცელებული. მიზეზი ამისი ის არის, რომ მარტი მეტად სუსხიანი დაგვიდგა. აქეთკენ, სოფლებში, მრავალსა ჰნახავთ—ქალსა თუ კაცს ფეხებ დამზრალთ, რომლებიც ძლივს-ღა დადიან.

*** იქიდამვე: წარსულს წელს აქეთ მოსავალი მეტად ნაკლებად მოვიდა. ამიტომ ჩვენსკენ შიმშილობაა ეხლავე. კარგი იქნებოდა ისე მოხერხდეს, რომ ადგილობრივი სიმინდი გარეშე ქვეყნებში არ გავიდეს, რადგანაც ადგილობრივაც დიდი საჭიროება იქმნება სიმინდში.

*** გამოვიდა მეორე №-ი ჟურნალ „მოამბისა“ შემდეგის შინაარსით:

„სამ-ფეხა ამირანი“, ამბავი არბოელისა. „გამარჯვებული ნიკო“, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა (გაგრძელება). „ჩემი რა ბრალია?“ ამბავი თ—ლისა. „იულიოს კეისარი“, ხუთ-მოქმედებიანი დრამა უილიამ შექსპირისა, თარგმ. ინგლისურიდამ ივ. მაჩაბლისა (გაგრძელება). „ცეცხლითა და მახვილითა“, ნაწილი მესამე, რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ—ძისა (გაგრძელება). „ქართული «დაბადება“, დეკ. პეტ. კონჩუაშვილისა. „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“. IV. ა. [illegible] (დასასრული). „სპარსეთი და იქაური ქართველები“. I. კასპის ზღვიდამ თეირანამდე.—ქ. ანზალია.—მორდაბი.—ფირბაზარი.—სასტუმრო რაშტში.—ქ. რაშტი და საზოგადო გილიანის თემი.—რუსეთის გავლენა.—სიწმიდე შთამომავლობითი.—გზა სეფიდ რუდზედ.—ს. რუდბარი და ზეთის ხილის ხე.—მენჯილის ხიდი.—სეფიდრუდი.—ირანის ზეგანი.—ქარვანა.—ყავახანა.—ამბები საჩაიეში.—ხარზანის გადასავალი.—ქ. ყაზვინი.—სკოლა და საპყრობილე.—ყაზვინ-თეირანის ვაკე.—თეირანის გზა-ტკეცილი და ეტლების მოძრაობა. ლადო აღნიაშვილისა. „სარწმუნოება, ზნეობა და მეცნიერება“, კ. ბ—ძისა. „რას ამბობენ რუსეთში ჩვენს შესახებ?

ქრონიკა:

„სალიტერატურო მიმოხილვა“, გრ. ყიფშიძისა. „შინაური მიმოხილვა“. Pro domo sua.—მტრობა თუ ძმობა?“—«Московскія Вѣдомости»-ს პასუხი.—„ივერია“ და მოცლილი კაცის ანდერძი.—ჩვენი წადილი.—„ოსტავნოების“ საზოგადოება.—„გაუჭრელ ნესვის“ მოძღვრება. «უცხოეთის მიმოხილვა. ბიბლიოგრაფია: Бурнашевъ. Картина Грузіи или описаніе политическаго состоянія царствъ карталинскаго и кахетинскаго. Изданіе К. Н. Бѣгичева. Тифлисъ 1896. IV+24 стр. in 8. (ბურნაშოვი. საქართველოს სურათი ანუ აღწერილობა ქართლისა და კახეთის სამეფოთა პოლიტიკურის მდგომარეობისა. გამოცემა კ. ნ. ბეგიჩევისა. ტფილისი, 1896. IV+24 გვ. in 8). „პასუხად ბ-ნს Plebs-ს“, გრ. ყიფშიძისა. განცხადებანი.

### სოფლის მეთვალყურეთა მიმართ.

უმორჩილესად [illegible] ყველას, ვისაც-კი ჩვენი სოფლების ბედ-იღბალი ეინტერესება, შეგვატყობინოს შემდეგი: 1) არის თუ არა მათ სოფელში სკოლა, 2) არის თუ არა სახალხო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. 3) წიგნთ-საცავში რა წიგნები არის და რომელი წიგნი აკლიათ და 4) რომელი წიგნი უფრო საჭიროდ მიაჩნიათ ხალხში გასავრცელებლად.

ყველა ამაზედ გთხოვთ დაუყოვნებლივ მოგვცეთ პასუხი, «ივერიის» რედაქციაში.

ივ. მაჭავარიანი.
გ. ლასხიშვილი.
კ. აბაშიძე.

### ხმა მთიულეთიდამ.

ამას წინად გაზ. „ივერიაში“ დასტამბული იყო ერთი წერილი, რომელიც გვაუწყებდა, რომ შირაქში ჩიჩრახისაგან ცხვარი იხოცებაო.

ბევრ მკითხველს არ ეცოდინება, თუ რა არის ჩიჩრახი, რისგან წარმოსდგება ეს მეცხვარის დამღუპველი სატკივარი და ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ გავაცნოთ.

შირაქი ბარი ადგილია, ცხელი, ამისათვის უმეტესი ნაწილი კახეთისა და თიანეთ დუშეთის მაზრის ცხვარი ზამთრობით აქ დგება. შირაქში ზამთარში თოვლი ცოტა მოდის და თუ მოვა სითბოს გამო მალე დნება. თუ რამდენიმე დღე თბილი დადგა, მწვანე ბალახი ამოდის და, თუ შემდეგ ამინდი გაცივდება ამოსულ მწვანე ბალახს გაჰყინავს და აი, ამ გაყინულ მწვანე ბალახის ჭამისაგან ცხვარს უჩნდება ტანში ფაღარათობა, რომელსაც მეცხვარეები უწოდებენ ჩიჩრახს.

ეს სატკივარი ნამდვილი ღვთის რისხვაა ცხვრისათვის; ვაი იმ პატრონს, რომლის ცხვარში ეს სატკივარი დაერია. ამ ჭირს შეუძლიან მოკლე ხანში ათასობით ამოსწყვიტოს და გუშინდელი საკმაო ცხვრის პატრონი ხელცარიელი დასოს. აჰა, შე-

---

საც წილი უდევს მეორეს მხრით-კი გვიბადებს სიბრალულს უგულითადეს თაყვანისცემად გარდაქცეულს, რომელიც ეკუთვნის უბრალო მსხვერპლს საზოგადოების გათახსირებისას. იღუპება სული ჭეშმარიტის ადამიანისა, და ამ დაღუპვის თავი და ბოლო საზოგადოებაა.

საზოგადოებას არც იმაზედ უმტვრევია თავი, რომ ყოველი თავისი წევრის ცხოვრება უზრუნველ ეყო და არც იმაზედ, რომ, უშველოს მაინც და დაღუპვისაგან იხსნას უმწეოდ და უნუგეშოდ დარჩენილი წევრი, რომელიც ბინძურს მორევს ჩაუთრევია და დანთქმას უპირებს. წინააღმდეგ, ხედავს, რომ მისი დაუდევრობის წყალობით ადამიანი, მისივე წევრი, კლდეზედ იჩეხება და მის მაგიერ, რომ ეხლა მაინც ხელი მიაშველოს, ფეხსა ჰკრავს და აჩქარებს მის დამტვრევასა და გაცამტვერებას, დაე, მომშორდეს, გულს ნუ მიწუხებსო. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, ძმის მიშველება თუმც წმინდა მოვალეობაა ყოველი კაცისა, მაგრამ ესეც ვაპატივოთ ადამიანის ბუნების სისუსტეს. სავალალო და თავში საცემი ის არის, რომ დაღუპული სასაცილოდ გაუხდია, ზიზღით იხსენიებს მას, არც-კი იკადრებს ხელი გაუწვდინოს. უნებლიეთ დაცემული არავითარს სიბრალულს არ იწვევს მაში. თავხედობა კიდევ უფრო შორს მიდის და საზოგადოების ბედნიერი წევრი აცხადებს, ვინც დაჩაგრულ წევრს ხელს გაუწვდის, მიეკარება, იმან ხელი აიღოს ჩემ ნაცნობობაზედ, მეგობრობაზედ, ჩემთან ნურარავითარი კავშირი ნუ ექმნებაო. განა შესაძლებელია უმეტესი გარყვნილება საზოგადოებისა, უმეტესი მისი უტიფარობა და გაკადნიერება, რომელიც იხატება მისი წარმომადგენელის, ბ. დიუვალის, (არმანის მამის,) სიტყვებში, როცა პირში ეუბნება მარგარიტას, ამ საზოგადოების დაუდევრობის მსხვერპლს, ჩემი ქალიშვილი გაუბედურდება, თუ არმანმა თქვენთან ცხოვრებას თავი არ დაანებაო. დიახ, სასიძო თავს ანებებს საცოლოს, თუ ამ საცოლოის ძმა ვიღაც გაუბედურებულს, ოფიციალურად „როსკიპად“ წოდებულს იცნობს. ამავე დროს-კი, შეიძლება, ფარულად, საქმროს გათხოვილს დას, მის ხანზედ გადასულს დედას რამდენიმე საყვარელი ჰყავდეს; იქნება ამ საყვარლების, „ოჯახის მეგობრების“ წყალობით მთელი ოჯახი ცხოვრებდეს და აქაც ბევრად უფრო საზიზღარი ვაჭრობა ხდებოდეს (ამ გვარები ხშირია ეხლანდელს საზოგადოების «პატიოსან ოჯახებ“-ში). მაგრამ ეს ყოველიფერი ხომ საიდუმლოდ ხდება, ამის მოწმებით დამტკიცება შეუძლებელია.

სულ სხვაა, როცა ობლად დარჩენილი, უდედ-მამო და ქუჩაზედ დაგდებული, მარგარიტა გოტიესთანა ქალი, ძალა უნებურად შესდგომია თავისი მშვენიერებით ვაჭრობას. იგი საზიზღრად არის აღიარებული, მასთან გავლა ჩირქსა სცხებს ადამიანს. მარგარიტა არავის ატყუებს, არც ქმარს, არც შვილს, არც ნათესავს, არც მეგობარს და არც ნაცნობს. ყველამ იცის, რომ მისი სყიდვა ამდენი და ამდენი ათასი ფრანკი ღირს. სავაჭრო გამოფენილია, გნებავთ იყიდით, თუ არა და არა. მას თვით ეზიზღება თავისი თავი, თვით გრძნობს რა ბოლოცა აქვს ამგვარს ცხოვრებას; კვნესის და ჰგოდებს, სევდით მოცულია და იძიებს დროს, რომ ადამიანურად იცხოვროს, მაგრამ გარშემო ვერას ხედავს ხელის ჩასაჭიდებელს, ვერას ხედავს იმისთანას, რომელიც მისი ბედკრული ცხოვრების ნავთ-სადგურად გამოადგეს. ყველა ვინც მას იცნობს, ვინც მასთან დაახლოებულია—ჩარჩია, ჩარჩი, რომელიც სცდილობს, რაც შეიძლება მოატყუოს გამსყიდველი, რაც შეიძლება მოგებული დარჩეს ვაჭრობაში.

როცა პირველად შეხვდებიან მარგარიტა და არმანი ერთმანეთს და არმანი ეუბნება თავს გაუფრთხილდიო, აი რას უპასუხებს: „დალოცვილო, თავს რომ გაუფრთხილდე, ხომ შიმშილით მოვკვდები.. თავის გაფრთხილება შეუძლია მხოლოდ კარგი საზოგადოების ქალს, რომელსაც ოჯახი აქვს და მეგობრები ჰყავს. ჩვენისთანაების საქმე-კი წასულია იმ დღიდამ, როცა ველარავის ვასიამოვნებთ. ჩვენ მიგვატოვებენ და მთელი დღე და ღამე მარტოდ მარტო უნდა ვეგდოთ. მე კარგად გამოვსცადე ეს ჩემი ორი თვის ავადმყოფობის დროს. სამი კვირა რომ გავიდა ყველას თავი მოვაბეზრე და ერთიც არავინ მოსულა ჩემდა სანახავად». კარგადა გრძნობს ამას მარგარიტა, მაგრამ რა ქნას? ამ გვარ ცხოვრებასაც ხომ თავისებური დაღი დაუსვამს მაზედ: ისეთი რამეებისათვის მიუჩვევია, რასაც სხვა მდგომარეობაში ვერ იშოვიდა. კარგად ჩაცმა-დახურვა, კარგი ჭამა-სმა, ეტლებით სეირნობა, თეატრებში და ბალებში სიარული, ყველა ეს, თუ, მაინცა და მაინც დიდ სიამოვნებას არ აძლევდა, თავის დივიწყება მაინც შეიძლებოდა ამათი წყალობით და ესეც კარგი ნუგეში იყო იმის მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, მაინც სცდილობს ცხოვრების შინაარსი მოიპოვოს, მაგრამ აქაც წინ ეღობება უწინდელი მისი ცხოვრება. „ჩვენ“, ეუბნება ის არმანს, „ბედნიერად გვთვლიან და ხან და ხან კიდევაც უხარიანთ ჩვენი ბედი. მართლაც ჩვენა გვყავს საყვარლები, რომელნიც მთელს თავისს ქონებას ფლანგვენ, მაგრამ ჩვენთვის კი არა, თუმცა თვით-კი ამას ამბობენ. ამის მიზეზი მათი თავ-მოყვარეობაა. ჩვენი ერთი ბეწო პატივისცემაც-კი არა აქვთ, მაგრამ თუ თავმოყვარეობის დაკმაყოფილებაზედ მივარდა საქმე, მაშინ დიდი რამა ვართ. ჩვენ მეგობრებიცა გვყავს, რომელნიც, თუ გვინდა, მონობასაც გაგვიწევენ, მაგრამ მათს მოქმედებაში თავ-განწირულების ნატამალიც-კი არ მოიპოვება. მათთვის სულ ერთია რასა ჩავდივართ, ოღონდ-კი ჩვენის ლოჟითა და ეტლით ისარგებლონ. ასე, რომ ჩვენს გარშემო მეფობს მხოლოდ დამღუპველი და სამარცხვინო ცბიერება. მე ვოცნებობდი, ვფიქრობდი ხანდისხან, თუმც არავის კი არ გავტეხივარ, იქნება შემხვდეს ისეთი მაღალ-სული არსება, რომელმაც ჩემი წარსულის ანგარიში არ მომთხოვოს და მოისურვოს ჩემი შეყვარება-მეთქი.... მაშინ შეგხვდი შენ, გატაცებულს, ბედნიერებით სავსე ახალგაზდას... ყოველივე შენი მოქმედება მაძლევდა ნებას მეფიქრა, რომ სწორედ შენ იყავი ის კაცი, რომელსაც ვეძებდი და ვუძახოდი ჩემის ოცნებობის დროს. ერთ წუთს როგორც გიემა, მთელი მომავალი შენს სიყვარულზედ აღვაგე, მე ვფიქრობდი სოფელში ცხოვრებას, მინდოდა დამეწყო წმინდა და შეუმწიკვლელი ცხოვრება... მაგრამ, ეჰ, ეს თურმე შეუძლებელის სურვილი იყო, ერთმა შენმა სიტყვამ დამიმტკიცა“...

დიაღ, მთელმა წარსულმა ნიშანი დაასვა საბრალო ქალს, ისეთი ნიშანი, რომელიც ყველას, რაც უნდა მისი სიყვარულით გატაცებული ყოფილიყო, თვალში ეჩხირებოდა. არმანიც, ეს საუკეთესო ყმაწვილი კაცი, ნამდვილის წრფელის სიყვარულით აღსავსე, ესეც-კი ეჭვიანობით მოსვენებას არ აძლევს საბრალო ქალს და თავისი მოქმედებით იმედის კოშკს უნგრევს.

კიტა

(დასასრული იქმნება)

დის პატრონი თავის ცხვარში დასათვალიერებლად და რა სურათსა ჰხედავს: რამდენიმე აქა გდია ჩიჩრახისაგან გაზერილი ცხვარი, რამდენიმე იქ, ამ რიგათ იხოცება, მიდის დრო და მასთან ილევა მისი ცხვარი და აი, გუშინდელ ოჯახიშვილს დღეს თითქმის ლუკმა პური ენატრება. თუ ძალ-ღონე შესწევს კიდევ არ დამორჩილდება მუხთალ ბედს, აიღებს ჯოხს დაუდგება სხვას მწყემსად და ამით არ მოამშივებს ცოლ-შვილს. რა უნდა ქნას დაუძლურებულმა მოხუცმა, ან ავათმყოფმა? რით, რა საშუალებით უნდა აცხოვროს თავის თავი და ცოლ-შვილი?..

ჩიჩრახს ერთი საძაგელი თვისება სჭირს: ცხვარს, რომელსაც სჭირდეს სატკივარი, და როგორმე გადარჩა, ძრიელ აზიანებს. ისე ახდენს, რომ პატრონი თითქმის დაღუპულად სთვლის გადარჩენილ ცხვარსაც.

მარტო ჩიჩრახი და ამგვარი სატკივარი როდია მეცხვარის მტერი. სიცხე, სიცივე, სეტყვა, ნადირი, თოვლ ბუქი და გონიერი ქმნილება—კაციც-კი ემტერება ამ ბედისაგან დაჩაგრულ ბუნების შვილს. ყველა ჩაგრავს, ყველა ცდილობს მისი ოფლით ისარგებლოს, წაჰგლიჯოს ხელიდამ ოფლით ნაშრომი.

რა არის მეცხვარის სიცოცხლე?.. თითქმის ისე ჩადის საფლავში, რომ ერთი წუთი არ ახსოვს თავის სიცოცხლისა, რომელიც კმაყოფილებით, გულ-დამშვიდებით გაეტარებინოს. მწყემსი მოდის შინ; მას ეგებება საყვარელი ცოლ-შვილი, თავის ჭერი, ჰგონია კაცს რომ ეხლა მაინც მოისვენებს, თავის ცოლ-შვილთან ბედნიერად სთვლის თავის თავს. არა, ბატონო, ნუ გგონია. მისი გული, ფიქრი ისევ ცხვარშია. ის ყოველ წუთში მის ფიქრშია, თუ როგორ არის მისი ცხვარი, ხომ არ დასტაცეს ყაჩაღებმა, ან თოვლ-ბუქმა, ან სეტყვამ ხომ არ მოამწყვდია სადმე მთის წვერზედ და არ შეიქმნა შეუბრალებელ სასტიკ ბუნების მსხვერპლად. გაატარებს ასე მოუსვენრად ერთ ორ კვირას შინ და შემდეგ ისევ უნდა მოშორდეს სახლს და იტანტალოს მხეცივით ცის ქვეშ. რა ბევრი გავაგრძელოთ, მკითხველო, რა უნდა იყოს იმ კაცის სიცოცხლე, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ცხვარს შეჰყურებს!.. შარშან წინ მარიამობის თვის დამლევში თრიალეთში მოვიდა თოვლი. ერთი ფშაველი მოემწყვდია თავის ცხვრით მთის წვერზე. საშინელმა ქარმა ცხვარი ერთ ღრეში მოამწყვდია და რამდენიც დრო გადიოდა იმდენათ უფრო და უფრო თურმე აყრიდა თოვლს ცხვარზე. ბევრი ეცადა მწყემსი, რომ იმ ღრედგან ცხვარი გაელალნა, მაგრამ ვერა უშველა რა. ცხვარი მთლათ დაიღუპა თოვლ ქვეშ. მეცხვარეები ლაპარაკობენ, რომ, როდესაც თოვლმა დამალა ცხვარი და აიმსო ღრე, იმედ მიხდილმა მეცხვარემ ერთი საშინლად დაიბღავლა, გაიხედა უკანასკნელად იმ ღრესკენ სადაც მისი ცხვარი დაიმარხა, დააფურთხა, დასწყევლა მწყემსის გაჩენის დღე, სასოწარკვეთილი იქვე მიებჯინა, მჯდომარე, ერთ ქვას და განუტევა ტანჯული სული. ისე მჯდომარე, გაყინული, იპოვეს შემდეგ მეცხვარეებმა. უბედურო ბუნების შვილო, ბევრი ეცადე რომ დაგეხსნა საყვარელი ცხვარი დაღუპვისაგან, ვერ შესძელ, დაგეღუპა და შენც ზედ გადაატანე თავი.

ამნაირი შესაზარი მოვლენა ბევრი ხდება მეცხვარის ცხოვრებაში. რამდენიმე წლის წინად, გაზაფხულში, ქოჩადლის ხევში *) დაიღუპა ღამე უცბად მივარდნილ ნიაღვრისაგან ორი თუ სამი ათასი ცხვარი პატრონებითურთ. გადარჩა მხოლოდ ერთი კაცი და მასაც, როგორც ამბობენ, ენა წაერთო და ისე დადის ეხლა გაუბედურებული. აბა რა ქნას მეცხვარემ, როგორ გაუწიოს წინააღმდეგობა ბუნებას. იგი მასთან შედარებით სუსტი ქმნილებაა. რაც შეეხება ნადირს—მაინც და მაინც იმდენად საშიშს არას წარმოარგენს.

ამას ყველაფერს გაუძლებდა მეცხვარე, მაგრამ რა უნდა ქნას, როდესაც მას ემტერება მისი ძმა, გონიერი ქმნილება-კაცი. ეს მტერი სხვა ყოველ მტერზე მაღლა სდგას გონებრივ და ამისათვის უფრო საშიშიც არის მისთვის. ეს უფრო აწუხებს, ეს უფრო აწყევლინებს გაჩენისდღეს. ზოგი მალულად, ზოგი ძალადობით აცლის ხელიდგან ოფლით და სისხლით ნაშოვარ ლუკმას. წელიწადში ორჯერ მოგზაურობს მეცხვარე: შემოდგომას მთიდგან ბარში და გაზაფხულზე—ბარიდგან მთაში.

მოგეხსენებათ ჩვენი გზები. იმ გზებზე რეკავენ ცხვარს. როგორ უნდა გარეკოს საწყალმა მწყემსმა ამ ვიწრო გზაზე ცხვარი ისე, რომ გზას აქეთ იქით ერთიც არ გადავიდეს? ამას არა კითხულობენ. ამის გულისთვის გამოდის ხან-და-ხან მთელი სოფელი კეტებით და ვაი მწყემსებს, დეეცემიან, როგორც მგლები, წაართმევენ რამდენიც უნდათ იმდენ ცხვარს, თავებსაც გაუხეჩავენ კეტებით ღ დაანებებენ თავს. არც ხვეწნა, არც მუდარება აღარ ესმის გაშმაგებულ ბრბოს. რომ აიშორონ ჩხუბი და ვაი-ვაგლახი, მწყემსები აძლევენ ხოლმე ორ სამ ცხვარს, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებიან და ძალითართმევენ რამდენიც უნდათ. რატომაც არ წაართმევენ, ვინ რას იტყვის, მუქთა ნადავლია. რა ქნას მწყემსმა ამ მგზავრობის დროს? სად წავიდეს, ვის მიჰმართოს: დროც ნებას არ აძლევს და თუ მისცემს, იცის, რომ ჩივილისაგან ბევრი არა გამოვა-რა. ემორჩილება ბედს, ანებებს თავს და განაგრძობს გზას.

გაიარა ეს სოფელი. იწყება მებატონის მამული. მობრძანდება თვითონ „პატონი“ (იციან ცხვრის გარეკის დრო) კოხტად შეკაზმულ ცხენზე და უკანაც ჩვეულებისამებრ მოჰყვება რამდენიმე „ბიჭი“, ხედავს ცხვარს მძოვარს თავის მამულში (არც ყორული, არც ყანა, არაფერი ამისთანა არ არის, ტიტველი მიწაა).

— როგორ გაბედეთ, ბრიყვებო, ჩემს მამულში ცხვრის ძოება, რად მიხდენთ მამულს!

— არ ვახდენთ, იწამე ღმერთი, წანახედს მოგართმევთ, მთელი დღეა მოვდივართ, ცხვარი შიმშილით დაგვეხოცა. გავბედეთ იმიტომ, რომ არც რამე ყანა, არც ყორული არა იყო-რა.

— როგორ, არც ყანა, არც ყორული. აბა ბიჭებო, მოსხლიტეთ ნოტო და წაასხით შინ.

ეხვეწებიან, ემუდარებიან, რომ ორი იკმაროს, სამი, მაგრამ რაც ბევრია ისა სჯობია; თუ ბევრი დაუწყეს, აბა, ბიჭებო, დაჰკარით! გაიმართება ცემა-ტყეპა დაღლილ-დაქანცულ მწყემსებისა; ზოგჯერ ისე ულმობლოთ სცემენ, რომ ცემისაგან ბევრი სნეულდება, რომლის გამოც მალე ჰპოვებს მწყემსი ბნელ სამარეს. დიაღ, კვდება მწყემსი ცხვრისათვის, იმისათვის, რომ მისი ქონება ცხვარია, ის ცხვარი სისხლის ოფლით ჰყავდა მას შეძენილი, რამდენი ჯოჯოხეთური ღამე გაუტეხია მას ცხვრისთვის. ნუ თუ იმისთვის, რომ მემამულეს მისის ცხვრის ხორცით წვეულება გაემართნა და ღვინით აღფრთოვანებულს „მრავალ-ჟამიერ“ შეეძახნა!..

ჩვენ ქვეყანაში მომეტებული საძოვრები მებატონეებს უჭირავთ და ამისათვის მეცხვარეებს მათგან უფრო დათუთქული აქვთ გული. ამ წერილს ვათავებ ერთ შემთხვევით, რომელიც ნათლად გვიჩვენებს იმ დამოკიდებულებას, რაც არსებობს მეცხვარის და მემამულეთ შორის: ეს შემთხვევა მოხდა ხუთ თუ ექვსს წლის წინეთ სოფ. რუისპირში (თელავის მაზრა). ერთი ახალგაზდა თუში მწყემსი აძოვებდა ცხვარს; შემოდგომა იყო, ალავერდობის დღე, მაშასადამე არც რამე ყანა, არც ყორული არა იქნებოდა-რა ამ დროს. ერთი თხა ატოტებულიყო ზვრის ღობეზე. დაენახა ადგილობრივ მებატონეს (არ-კი ვიცი როგორ მოესწრო იმ დროს იქ) და ამაზე აეტეხა დავი დარაბა. მებატონეს ბიჭები თან ჰყოლია. ებძანებინა „ბატონს“ დაჰკარით და ერთ „ბიჭთაგანს“ თავისთვის მდგომ მწყემსისათვის უცბად უკნიდამ თავში ხიშტი წაეკრა, ხიშტი თავში ჩარჩენილიყო. მწყემსი, რასაკვირველია, იქვე წაქცეულიყო გრძნობა-მიხდილი და მესამე დღეს საშინელი წვალებით მოკვდა.

რა ფიქრმა, რა გულმა, რა სვინიდისმა აქნევინა ეს საქმე მებატონეს? მოკვდა ეს კაცი,—რათა, რისთვის? ჰკითხეთ თვით „ბატონს“.

იწამეთ ღმერთი მემამულეებო, აკმარეთ მწყემსებს,—საცოდავ ბუნების შვილებს, ტანჯვა და ვაება. მათ დადაგულ გულს ცეცხლს ნუ უმატებთ. შედით მათ მდგომარეობაში. მწყემსიც კაცია, იმასაც უნდა ცხოვრება!..

ივ. ბ—ლი.

*) ეს ხევი ერთვის მთაშივე მარჯვნივ ალაზანს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** მოგეხსენებათ, რომ ინგლისის პარლამენტში კერზონს, გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწეს, დაეკითხნენ ბერტლოს, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის, სიტყვების გამო. ბერტლოს ვითომ ეთქვას ლორდ დეფერინისათვის (ინგლისის ელჩია საფრანგეთში), რომ სუდანის ექსპედიციას მძიმე შედეგი ექნებაო. საფრანგეთის მთავრობა სცდილობს ეხლა, რომ ამ სიტყვებს მეტად სერიოზული ხასიათი არ მიეცეს. ოფიციალურს წრეებში ამბობენ, რომ ბერტლო ელაპარაკებოდა ლორდ დეფერინს, არა როგორც ინგლისის წარმომადგენელს, არამედ, როგორც კარგს ნაცნობსაო და ამიტომაც ოფიციალური ხასიათი არ უნდა მიეცეს მათ ბაასსაო. ბერტლომ მოკლედ გამოსთქვა მთავრობის აზრი სუდანის მოულოდნელის ექსპედიციის გამოო; სწორედ იმიტომ, რომ მოკლედ იყო გამოთქმული აზრი, სხვანაირად გაიგეს. „მძიმე შედეგი ექნება“, ეს სიტყვები თვით სუდანის ექსპედიციას-კი არ ეკუთვნის, იმაზედ არის ნათქვამი, ეგვიპტის სათადარიგო თანხიდამ, რომ აპირებენ ფულის დახარჯვასაო. მაგრამ სხვები-კი ამბობენ, რომ ნამდვილია ბერტლომ სთქვა „მძიმე შედეგი მოჰყვებაო“, კერზონის სიტყვის შესახებ, იტალიისა და ინგლისის დაკავშირებაზედო.

**ავსტრ უნგრეთი.** უკანასკნელ ხანებში ახალ-ჩეხთა კლუბსა და მორავიის ძველ-ჩეხებთა დეპუტატების შორის მოლაპარაკება იყო. ეს მოლაპარაკება იმით გათავდა, რომ ორივე დასი შეერთდა. ჩეხელს გაზეთებს დიდმნიშვნელოვნად მიაჩნიათ ეს ფაქტი. ძველ-ჩეხებმა მთლად ერთიანად მიიღეს ახალ ჩეხთა პოლიტიკური პროგრამმა. ასე რომ ეხლა ჩეხელთა წარმომადგენელნი ჩეხიაში, მორავიაში და სილეზიაში შეერთდენ და ეჭვი არ არის დიდს ძალასაც მოიპოვებენ, რადგან ავსტრიის პარლამენტის დეპუტატები მეტად დაქსაქსულები არიან და არ არსებობს ცოტად, თუ ბევრად თვალ-საჩინო გრუპპა დეპუტატთა. ჩეხელი გაზეთი «პოლიტიკი» ამბობს, რომ ჩეხელებს ეხლა დიდი გავლენა ექნებათ პარლამენტში. თანაც ძველ-ჩეხთა შეერთებას ახალ-ჩეხელებთან ის შედეგი მოჰყვება, რომ ეს პარტია დაუახლოვდება კონსერვატიულსა და პოლონელთა პარტიას.

## ეგვიპტე.

### II *)

ჩვენ ეგვიპტის ძველ ისტორიას არ შევეხებით და მხოლოდ მოკლედ მოვიხსენიებთ ეგვიპტის მდგომარეობას მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა დაიპყრო იგი. ოსმალეთმა დაიპყრო ეგვიპტე XVI საუკ. და დღესაც მის პროვინციად უნდა ჩაითვალოს, იურიდიულად მაინც. XVII, XVIII ს. ეგვიპტეს მამელიუკები განაგებდნენ (მონღოლებიდამ ნაყიდი ტყვეების ჩამომავლები). მამელიუკები იყვნენ საშინელი დესპოტები, ხალხის სისხლის მწოველნი. მხოლოდ ნაპოლეონის ექსპედიციამ მოსპო მამელიუკთა ბრძანებლობა. 1802-ში ამიენის ხელშეკრულობით ეგვიპტე ხელ-ახლად აღიარებულ იქმნა ოსმალეთის პროვინცად.

1806-ში ოსმალეთის სულთანმა დანიშნა თავისს მოადგილედ ეგვიპტეში მეჰმედ-ალი. იმან შეიტყუა ერთ ვიწრო ხეობაში მემელიუკები და სუყველა გასწყვიტა თოფით, ისინიც-კი გააწყვეტინა, რომელნიც სოფლად დარჩნენ. მეჰმედ-ალიმ თვალსაჩინო რეფორმები მოახდინა ეგვიპტეში. ახალი ჯარი შეადგინა ფელახებიდამ. რიცხვი ჯარის კაცთა 160.000 მდის ადიოდა. დაიპყრო ნუბია. გააწყო ფლოტი, ახალი გარდასახადი დაადგინა, სულზედ გარდასახადი მოუმატა. დანიშნა კომისსია, რომელსაც უნდა განეხილა ვის რა საბუთით უკავია ესა თუ ის მიწა, და თუ ვინმე ვერ დაამტკიცებდა თავისს უფლებას მიწას ჩამოართმევდნენ და სახელმწიფოდ (ე. ი. მეჰმედ-ალის) საკუთრებად ჩარიცხავდნენ, ახალი კარგი გზები გააყვანინა, არხები გასჭრა. დააარსა მრავალი სკოლა, სტამბები და გაზეთი. თანაც ეგვიპტის „ნაიბმა“ (სულთანის მოადგილემ), ასე უწოდებდნენ მას ევროპიელები, დიდი დამოუკიდებლობა მოიპოვა და ძლევა-მოსილი მმართველი შეიქმნა. სულთანისაგან მისი დამოკიდებულება მხოლოდ იმაში იხატებოდა, რომ ხარკს იხდიდა მის სასარგებლოდ. მეჰმედ-ალი ისე გაძლიერდა, რომ დაიპყრო სირია, და კონსტანტინეპოლიც საშიშარ მდგომარეობაში იყო, თუ რუსეთი არ მიშველებოდა.

1839-ში ოსმალეთის სულთანად შეიქნა მცირე წლოვანი აბდულ-მეჯიდი და ამის შემდეგ მეჰმედ-ალის ძლიერებას ფრთები შეაკვეცეს. სირია წაართვეს, სულთანის ვასსალად აღიარეს და გარდასწყვიტეს იხადოს პორტას სასარგებლოდ $^1/_8$ სახელმწიფო შემოსავლისა. განაცხადეს, რომ მეწამული ზღვა თავისუფალია ყოველი სახელმწიფოს გემის მოგზაურობისათვისაო.

1849 წ. მეჰმედ-ალი მოჰკვდა, და რადგან მისი შვილი მაზედ უფრო ადრე მოკვდა, ეგვიპტის მმართველად დაინიშნა შვილი-შვილი მეჰმედ-ალისა აბას-ფაშა. ამის მმართველობის დროს ეგვიპტე მეტად დამოკიდებული შეიქმნა სულთანისაგან. აბასის სიკვდილის შემდეგ, მისი ადგილი დაიჭირა ბიძა მისმა საიდ-ფაშამ, შვილმა მეჰმედ-ალისამ. ამან შესცვალა გარდასახადების წეს-რიგი, რომელიც დადგენილი იყო მამა მისისაგან; მიწათმომქმედთ ნება მისცა მოსავლის ფული ეძლიათ გარდასახადში, მოსპო ბატონ-ყმობა და ყმების ყიდვა (თუმც ფაქტიკურად დღესაც არის), მან მისცა ნება სუეცის არხის გაყვანის, თუმც ოსმალეთის მთავრობა წინააღმდეგი იყო ამისი. მის შემდეგ ეგვიპტის მმართველად იყო იზმაილ-ფაშა, ძმისწული საიდისა. მის დროს გათავდა სუეცის არხი (1869) და კონსტიტუციის მსგავსი მართებლობაც დააწესეს ეგვიპტეში, მაგრამ მალე ისევ მოსპეს. მოახერხა ქრთამით ის, რომ ეგვიპტის მმართველებს „ნაიბის“ წოდება მიეცათ. 1872 წ. ნაიბის უფლებათა შეზღუდვა მოსპო სულთანმა და 1875 წ. შეიცვალა ეგრედ წოდებული კონსულთა სასამართლოები. უწინ კონსულთა სასამართლო, რომელიც არჩევდა ეგვიპტელთა და უცხოელთა სადავო საქმეებს, შესდგებოდა მარტო უცხოელთაგან, და ამიტომ დიდის მიდგომილებით სჯიდა. ეს, რასაკვირველია, ეგვიპტელების ინტერესების წინააღმდეგი იყო. იზმაილ-ფაშამ მოახერხა ის, რომ კონსულთა სასამართლოებში მაჰმადიანებიც გაურიეს. სუეცის არხის გაყვანის შემდეგ ეგვიპტე თანდათან დაუახლოვდა ევროპას და თანდათან შორდებოდა ოსმალეთის დამოკიდებულებას. ფინანსები მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. იზმაილმა მიმართა ინგლისს გამომიგზავნე ვინმე კაცი, რომელმაც სახელმწიფოს ფინანსთა მდგომარეობა გააუმჯობესოსო. თუმც ინგლისმა გამოგზავნა კაცი, მაგრამ ნაიბმა არ აღასრულა მისი რჩევა და სახელმწიფო გაკოტრების გზას დაადგა. სახელმწიფო სესხიანი ქაღალდების პროცენტების გადახდა გადასდვა, პროცენტები შეამცირა, მოხელეთ ჯამაგირი აღარ

*) იხ. „ივერია“ № 60.

ეძლეოდათ, ჯარი შიმშილით წყდებოდა. შესდგა ინგლისისა და საფრანგეთის კომისია, რომელმაც გარდასწყვიტა, რომ ნაიბმა უნდა დაგვითმოს თავის აუარებელი მამულები და ფინანსების სისტემა შესცვალოსო. ნაიბმა სამინისტრო დაარსა. მთავარ მინისტრობა მიანდო ნუბარ-ფაშას, ფინანსთა მინისტრად ინგლისელი ვილსონი დაინიშნა, ხოლო საზოგადო სამუშაოთა მინისტრად ფრანგი დე-ბლინიერი. მაგრამ ნაიბმა სამინისტროს არა დაუჯერა-რა და ამიტომ ნუბარ-ფაშამ სამსახურს თავი დაანება, ფრანგი და ინგლისელი-კი გამაგრდნენ. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ევროპიელ სახელმწიფოთა ზედგავლენით ოსმალეთის მთავრობამ იზმაილი დაითხოვა და მის მაგიერად დანიშნა მისი შვილი ტევფიკ-ფაშა.

ტევფიკ-ფაშამ ახალი სამინისტრო დააარსა, მთავარ მინისტრად რიაზ-ფაშა დანიშნა. ტევფიკ-ფაშის მმართველობის დროს ეგვიპტე ფაქტიურად სრულიად დაშორდა ოსმალეთს და ევროპის სახელმწიფოთ დაესხნენ. ჯერ საფრანგეთსა და ინგლისს და 1882-დამ მარტო ინგლისს დიდი გავლენა აქვთ ეგვიპტის მართვა-გამგეობაზედ. 1882-ში ნაიბმა შეკრიბა დიდებულთა პარლამენტი, რომელმაც ურჩია ტევფიკ-ფაშას რიაზა სამსახურიდამ დაითხოვე და სხვას ჩააბარე სამინისტროო. ახალ სამინისტროში ყველაზედ უფრო დიდი გავლენა ჰქონდა სამხედრო მინისტრს არაბი-ფაშას, რომელიც ძალიანა სცდილობდა ეგვიპტე სრულიად დამოუკიდებელ სახელიწიფოდ შეექმნა, ამიტომაც დაუწყო ევროპიელებს დევნა სამსახურიდამ, დაითხოვა ყველა ევროპიელი და სხვ. საფრანგეთმა და ინგლისმა ფლოტი გაგზავნა ალექსანდრიაში. შეშინებულმა ნაიბმა არაბი-ფაშა სამსახურიდამ დაითხოვა. არაბიმ აჯანყება მოახდინა და გასწყვიტა ქალაქებში მცხოვრებნი ევროპიელები, განსაკუთრებით ალექსანდრიაში მცხოვრებნი. ინგლისმა მაშინ ომი დაუწყო არაბი-ფაშას და სრულიად დაამარცხა იგი. ამ დროს სუდანიც აჯანყდა. ინგლისმა სუდანი დააწყნარა, როგორც ვიცით (იხ. № 48) აბაშელების შემწეობით. ამის შემდეგ ინგლისმა ჯარები დააბინავა ეგვიპტეში და საფრანგეთის გავლენა ეგვიპტეზედ გააქარწყლა. 1882-დამ ეგვიპტე თითქმის ინგლისის კოლონიად ხდება, თუმც იურიდიულად ნაიბი სულთანის ვასსალად ითვლება. 1887-ში ინგლისმა აღუთქვა ოსმალეთის მთავრობას 1890-დის მეყოლება ეგვიპტეში ჯარები და მერე გავიყვან იქიდამ ჯარებსაო, მაგრამ დღემდისაც არ აღუსრულებია იგი პირობა ინგლისს. მხოლოდ სუეცის არხი-კი ნეიტრალურად არის აღიარებული ე. ი. ყველა სახელმწიფოების გემებს შეუძლიათ თავისუფლად იმოგზაურონ შიგ. ტევფიკ-ფაშის შემდეგ ეგვიპტის ნაიბად აღიარებულია აბასი, მაგრამ იგი მხოლოდ გარეგნობით სარგებლობს ამ წოდებით, ნამდვილი ეგვიპტის მმართველია ინგლისის ელჩი. ინგლისის გაბატონება ეგვიპტეში დიდი დამამცირებელია სულთანისა და ნაიბის თავმოყვარეობის, მაგრამ კაცმა, რომ სთქვას, თვით მხარეს სარგებლობა მოუტანა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ამ უკანასკნელ ხანებში ასტრონომიამ დიდი ბიჯი წადგა წინ და ბევრი რამ ახალი გამოარკვია ცის მნათობებისა. ამაში ასტრონომიას დიდი სამსახური გაუწია ჯერ ეგრედ წოდებულმა ტელესკოპმა (უშველებელი დურბინდია) და ფოტოგრაფიამ. მაგრამ, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ არის ცაზე, რომ ადამიანს თვალი ვერ მიუწვდენია, რადგანაც ჯერ აქამომდე ვერ მოუხერხებიათ დასძლიონ მეტის-მეტად ძნელს საქმეს დიდრონის მინების კეთებისას ტელესკოპებისათვის. ამ მინების სიდიდეზეა დამოკიდებული თვალთა წვდენა ცაში არსებულ მნათობთა დასანახავად. ამიტომაც ჩამოსხმა და გათლა ტელესკოპის მინებისა შეადგენენ ხოლმე ეპოქებს ცის გამოკვლევის ისტორიაში. ამის შემდეგ არ არის საკვირველი, რომ მთელს ქვეყანას მოეფინა ამბავი პარიზში 1900 წლის გამოფენისათვის მზადდება უშველებელი ტელესკოპი, რომლის სიდიდე აღემატება ყოველ იმას, რაც ქვეყანაზე დღეს ტელესკოპებიაო.

საფრანგეთის ასტრონომიული საზოგადოება აცხადებს, რომ ამისთანა ტელესკოპი უკვე მზადდება, გული მინას ექმნება თურმე თითქმის ორი არშინი და თვითონ მილი, რაშიაც იჯდება ამოდენა მინა, ოთხმოც-დაათი არშინი იქნება სიგძითაო. წინად ამბობდნენ, რომ ეს ტელესკოპი მოიახლოებს მთვარეს არშინ-ნახევარის მანძილზეო, მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა. ეხლა დარწმუნებით ამბობენ, რომ მთვარეს მოიახლოებს 100 კილომეტრის *) მანძილზეო. ესეც დიდი რამ არის, მით უფრო, თუ წარმოვიდგენთ, რომ მთვარე ჩვენზე შორს არის 85 ათას მილის**) მანძილზე. ამისთანა ტელესკოპის გაკეთება მსწავლულთ მიაჩნიათ სასწაულად ჩვენის საუკუნის დასასრულისა და ბევრს ახალს მოელიან ამ ტელესკოპისაგან.

მთვარე, ამ ტელესკოპის შემწეობით, ისე ახლო იქნება, რომ ადამიანი კარგად გაარჩევს მთვარის ადგილ-მდებარეობას, მთებსა და საბოლოოდ გავიგებთო არიან მთვარეზე მცხოვრებნი, და რაგვარნი მცხოვრებნი არიან, ერთი სიტყვით, არის თუ არა მთვარეზე როგორიმე სიცოცხლე, თუ ერთი უსიცოცხლო, მკვდარი, გაყინული და გამქრალი ქვეყანააო. ტელესკოპით დანახული მთვარის სანახაობის შუქი გადიღება ფოტოგრაფიით, ათჯერ გადიდდება და ამ გზით სახე მთვარისა ათის კილომეტრის მანძილზე საჩხრეკად შესაძლებელ შეიქმნება ადვილადაო. (პ. ი ლ.)

— ათინაში (საბერძნეთია), ეხლახან უკურთხებიათ ძეგლი, ბაირონის სახსენებლად აღმართული. ძეგლი წარმოადგენს „საბერძნეთსა, რომელიც აგვირგვინებს სახელოვანს პოეტს დაფნის გვირგვინითა და იქავ ბერძენი ჯარის-კაცი ჰდგას და ჰპატრონობს ახლად შობილს თავისუფლებას საბერძნეთისას“. კვართლბეკზე ამოჭრილია ზედ-წარწერა: „საბერძნეთი ბაირონს.“ კურთხევას დაესწრნენ მეფე საბერძნეთისა, წარჩინებულნი მოხელენი და აუარებელი ხალხი. შინა საქმეთა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა და დიდის ქება-დიდებით შეამკო გენიოსობა ბაირონისა და მისი თავ-გამეტებული ღვაწლი და სამსახური საბერძნეთის განთავისუფლების დიდს საქმეში.

— კაშიმირის გარეცხაც შესაძლებელია ისე, რომ არა გაუფუჭდეს-რა. ამისათვის საჭიროა ადუღებულ წყალში ჩაუმატოთ ცოტაოდენი სოდა და ჯერ ამისთანა წყალში გარეცხოთ, მერე რამდენჯერმე ამოავლეთ ცივ წყალში და ჯერ ისევ სველი დააუთოეთ. ამბობენ, ესე ძალიან კარგად ირეცხებაო.

*) კილომეტრი ვერსტზე ცოტა ნაკლებია.

**) მილი ვერსტ ნახევარზე მეტია.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ვისაც არ შეხვდები, ვისაც არ ნახავ, ნაცნობს, უცნობს, ქრისტიანს, თათარს, ურიას და სხ. განურჩევლად ჯასაკისა, ყველას დიდს გოდებაში და გამოუთქმელს მწუხარებაში ხედავ ამ დროებით საქართველოში გარდაცვალებისა გამო ყოვლად სანატრელის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ყველას სწყურიან და სწადს გარდა გარეგანის მისის ცხოვრებისა, რომელიც მათ ან პირისპირ იცოდნენ, ან გაიგეს ყოველ დღე მოღაღადე ჟურნალ-გაზეთების საშუალებით, კიდევ იცოდნენ ცოტაოდენი გარემოება მისის შინაგანი საიდუმლო საქველ-მოქმედო ცხოვრებიდამ და ამისათვის მე განვიზრახე დასაკმაყოფილებლად იმ საზოგადოების სურვილისა მოგახსენოთ ერთი ნამდვილი ამბავი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ცხოვრებიდამ და თან დასამტკიცებელი საბუთიც წარმოგიდგინოთ: მცხოვრებთა მახლობლად ახალ-სენაკისა ს. სახარბედიოში სამთა დებთა სიხარულიებთა 1891 წელში, ფოსტით თხოვნა გაუგზავნიათ მისის მეუფებისადმი, რომელშიაც აუწერიათ მათი სიღარიბე და გაჭირვებული მდგომარეობა სიობლისა გამო და სთხოვენ მისს მეუფებას სამოწყალოს, სწერენ სხვათა შორის, თუ რომ მოწყალებას ინებებს მისი მეუფება, ფული გამოგზავნოს მათ ახალ-სენაკში მოვაჭრე არჩილ შანტურიას. ყოვლად სამღვდელო წაიკითხავს თუ არა ამ თხოვნას, იმავე დღესვე უგზავნის ახალ-სენაკის ბლაგოჩინს ახვლედიანს, არა როგორც ბლაგოჩინს და თანამდებობის პირს, არამედ მისს მახლობელ ნათესავს და საიმედო პირს შემდეგს წერილს: „ძმაო იონა! ძალიან საიდუმლოდ შემიტყე, ვინ არიან ეს ქალები და რა მდგომარეობაში არიან, მალე მაცნობე“. ბ. ახვლედიანი შეკრებს რა საიდუმლოდ ცნობებს, მოახსენებს მისს მეუფებას ამ ქალთა მართლა ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობას და დანგრეულ სახლში მათ ცხოვრებას. მისი მეუფება წაიკითხავს თუ არა ამ მოხსენებას, იღებს კალამს და სწერს იმავე ბლაგოჩინს ახვლედიანს, როგორც თავისს ნათესავს: „საყვარელო ძმაო იონა! გიგზავნი ამასთანავე ას მანეთს იმ სამთა უბედურთა დანებთა შორის. მალე გადაეცი, შენც შეეწიე, რაც შეიძლება სახლი მალე შეაკეთონ, რომ ზამთარმა არ მოუსწროს და არ დაეცნენ ორნი მთელნი რომ არიან. გაფიცებ, რომ არავინ არ შეიტყოს ჩემგან გამოგზავნა ამ ფულისა. იმათაც უთხარი რომ არავინ არ შეიტყოს, არავის უთხრან და ფულის მიღებისათვის და გადაცემისათვის მომწერე. შენი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, 1891 წ. 15 ოქტ. შეეწიე, მათ მასალა უყიდე და სხვ. *)

ეს ამბავი მართლაც რომ დღემდის არავის შეუტყვია და არც მე მცოდნია და გამიგონია, მაგრამ რაკი მისი მეუფება გარდაიცვალა, ვგონებ უადგილო არ იქმნეს ეს საიდუმლოება თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით გამოაშკარავდეს დასაკმაყოფილებლად საზოგადოების მოთხოვნილებისა და წყურვილისა. ეს ფულები, რასაკვირველია, ამ გაჭირვებულთა ქალებთა უკვე მიიღეს საიდუმლოდ, მაგრამ თურმე მეტის-მეტი სიხარულისა და აღელვებისაგან ვერ შეიმაგრეს ცრემლი და შექნეს უცნაური ქვითინი, როგორც მიამბო ბ. ახვლედიანმა. ეს ქველმოქმედება მისის მეუფებისა, სრულიად არ არის გასაკვირი, რადგან ის ყოველ დღე ამგვარ ქველის მოქმედებასასრულებდა და უამისოდაც მრავალია საიდუმლო, თუ გამოჩენილი, მხოლოდ აქ არის ყურადღების მისაქცევი მისი უკანასკნელი მარტივი ბარათი და განსაკუთრებით მისთვის ძნელ სასმარებელი სიტყვა „გაფიცებ“. რომელსაც მე ვგონებ დიდი განმარტება არ ეჭირვება.

ბლაღოჩინი დეკანოზი გ. ბერიძე.

26-ს თებერვალი 1896 წ.

ღ. ახალ-სენაკი.

*) ამ წერილთან ერთად მოგვივიდა გაბრიელ ეპისკოპოსის წერილის ნამდვილიც. რედ.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი სუმბათაშვილნი. თავად სუმბათაშვილთა გვარეულობა წარმომდინარეობს მცირე აზიის მთავართაგან.

30 ოქტომბერს 1816 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან კაპიტანი გრიგოლ ნიკიტის მე და ტიტულიარნი სოვეტნიკი ივანე სტეფანეს მე სუმბათაშვილნი.

საქართველოს მეფის თეიმურაზის 28 იანვ. 1749 წლის გუჯარში ქაიხოსრო მეიტრიშვილი სუმბათაშვილი და შვილნი მისნი აბდულ-ბეგ და პაატა თავადებად არიან წოდებულნი.

თავად სუმბათაშვილთა გვარეულობა აღნიშნულია ქართლის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სოუჯახო სიაში ნაჩვენებნი არიან თავადნი სუმბასაშვილნი: 1) კოლეჟსკი ასესორი სოლომონ ივანეს მე და შვილნი მისნი: ზაქარია, მიხეილი, ეკატერინე და სოფიო; 2) მე 10-ე კლასის მოხელე ასლან ივანეს-მე და ცოლი მისი ბარბარე და შვილნი მისნი: ნიკოლოზ, ივანე, დიმიტრი და კონსტანტინე; 3) შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე ივანეს მე, ცოლი მისი სოფიო და შვილნი მათნი: პრაპორშჩიკი გრიგოლი, დავით, ივანე, ნიკოლოზ, ვასილი, ელენე და ნინო; 4) გუბერნსკი სეკრეტარი მიხეილ ივანეს მე, ცოლი მისი ტასია და შვილნი მათნი: დავით და ნინო და 5) ქვრივი კოლეჟსკი სოვეტნიკის ლუარსაბისა—მელანია და შვილნი მათნი: კაპიტანი მიხეილი და გრიგოლი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 მარტი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავრები და დიდი მთავრინები 14 მარტს ინვალიდთა სასარგებლოდ გამართულ კონცერტს დაესწრნენ.

**პარიზი.** პარლამენტი შემოსავალზე პროგრესიულის გარდასახადის პროექტის განხილვას შეუდგა.

**პარიზი.** ეგვიპტის სახელმწიფო ვალის კომისიამ დაადგინა გადადვას სათადარიგო თანხიდამ დონგოლის ექსპედიციისათვის საჭირო ფული მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი და რუსეთი წინააღმდეგნი იყვნენ. დადგენილების შემდეგ ამ ორთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს და სხდომას თავი დაანებეს. პარისის სინდიკატმა, რომელსაც ხელში აქვს ეგვიპტეს ფასიანი ქაღალდები, მაშინვე გამოაცხადა, რომ პასუხის მგებელნი არიან კომისია და მინისტრებიო.

**პარიზი.** დეპუტატი გილმო იცავს კონტრ-პროექტს, რომელიც თუმცა საჭიროდ სთვლის გარდასახადთა სისტემის შეცვლას, მაგრამ უარ-ჰყოფს მთავრობის მიერ შემუშავებულს პროექტს. ბურჟუა იცავს მთავრობის პროექტს და თხოულობს კენჭის ყრას. პარლამენტმა 288 ხმით წინააღმდეგ 272 უარ-ჰყო გილმოს კონტრ-პროექტი და ნდობა გამოუცხადა სამინისტროს.

**რომი.** სენატმა ნდობა გამოუცხადა რუდინის სამინისტროს და 109 ხმით წინააღმდეგ 6 შეიწყნარა წარდგენილი პროექტი.

**მასსოვა.** საქმეები იმავ მდგომარეობაშია. დღეს დილას საბდერატში ისმოდა ზარბაზნების გრიალი. ალბათ, კასსალიდამ არის ეს სროლა დერვიშთა წინააღმდეგ.

**ლონდონი.** რადგანაც შეერთებულ შტატებში სომეხთათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად მანიფესტაციები ხდება, ოსმალეთის მთავრობამ თავისი ელჩი დაიბარა ვაშინგტონიდამ.

**კაპტოუნი.** აჯანყდნენ მეტაბელები. მოკლულ იქმნენ ბევრნი ევროპიელნი. მათ შორის კომისარი ბენტლე. აჯანყებულთ წინააღმდეგ გაილაშქრა 75 მეომარი ერთის ზარბაზნით.

## „ივერიის“ ფოსტა

**სად. ქობულეთს**—ვლადიმირ ლ. სალუქვაძეს: გაზეთები მუდამ თავისს დროზედ და სრულიად გეგზავნებათ. სჩანს გაზეთები სადგურზედ იკარგება და ამის პასუხის მგებელი-კი ფოსტის განყოფილებაა.


# განცხადებანი

## ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა.

თარგმანი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის, ქუთაისის და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხ. სტამბაში.

ხელ-მეორედ გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

## სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა,

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბ ისა

წიგნი 63 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხან. სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Марта 1896 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.